ხელშეკრულება №4

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ქუთაისი 22 იანვარი 2024 წელი

შპს. "რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი" (ს/კ412729374) შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული, დირექტორი თეიმურაზ კიკვაძის სახით, ერთი მხრივ და შპს. „გორგია" ს/კ 245621288 დირექტორის **დირექტორის მინდობილი პირი ნინო სალდაძის** სახით შემდგომში „მიმწოდებელი" მეორეს მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე 3-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ქ. ქუთაისის შპს. "რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი" 2024 წლის საკუთარი შემოსავლების სახსრებით CPV-39715220 ელექტრო გამათბობელი მოწყობილობებიCPV31321220 საშუალო ძაბვის კაბელი შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: ხელშეკრულების დანართი N1 -ით გათვალისწინებული პროდუქცია, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო რირებულება შეადგენს დღგ **ჩათვლით** 166 **(ასსამოცდაექვსი) ლარი 00 თეთრი** , საქართველოში დადგენილი ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას , რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2. „მიმწოდებელი" პასუხისმგებელია შესყიდვის ობიექტის ვარგისიანობაზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. „შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს საქონლის ტრანსპორტირებას.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისთვის (საგადასახადო ანგარიშ ფაქტურა ან მირება ჩაბარება).

6. შესყდვის ობიექტის მიღება- ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება ლარებში.
7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.
7.3 ანგარიშწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
7.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი ქუთაისი.

8. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბანისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება , რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებით გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების მოწერის დღიდან 2024 წლის 1 მარტი.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით , როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამტვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება , კომპენსაციის უპლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების სესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **შპს. "რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი" დირექტორი თეიმურაზ კიკვაძე**

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები ანაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მომწოდებელი:
შემსყიდველი: --- Teimuraz Kikvadze 60001063953 Digitally signed by Teimuraz Kikvadze Date: 2024.01.23 11:46:25 **შპს.“ რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი** **ს/კ 412729374’** **მის: ქუთაისი აკაკი ხორავას #1** **ბანკის რეკვიზიტები „თიბისი ბანკი“** **ა/ა GE** GE97TB7404936070100004 **მფო:TBCBGE22** **დირექტორი თეიმურაზ კიკვაძე:**	მომწოდებელი: ---------- **შპს. „ გორგია“** **ს/კ 245621288** **მის:ქ.ქუთაისი ი.ჭავაჭავაძის გამზირი #8/4** **ბ/რ „ თიბისი ბანკი“** **ა/ნ** GE62TB1007536020100008 მფო: TBCBGE22 ტელ 591910929

ფასების ცხრილი

დანართი № 1

მომწოდებლის დასახელება: შპს. „ გორგია“

დასახელება	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	შენიშვნა
ელექტრო გამათბობელი	1 ცალი	100	100	
ელ სადენი	15 მ	4.40	66	
სულ			166	

მომწოდებლის ხელმოწერა:

ხელწერილი ინტერესთაკონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქუთაისი 23 იანვარი 2024 წ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს.“რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“ დირექტორი თეიმურაზ კიკვაძე , ხელის მოწერით ადასტურებს ,რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელებაში შპს. „ გორგია“ -ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს“რამაზ შენგელიას სახელობის
სტადიონის“ დირექტორი:
თეიმურაზ კიკვაძე

შპს. „ გორგია“ :
დირექტორის მინდობილი პირი
ნინო სალდაძე